საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი სამოსამართლო გამოცდილების არმქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

ნინო ხარიტონაშვილის

მოსამართლეობის კანდიდატის ----------------------- შეფასების შედეგი:

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით	
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☑

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით

კრიტერიუმი	მიღებული ქულა	მაქსიმალური ქულა
სამართლის ნორმების ცოდნა	19	25
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	20	25
წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი	20	20
პროფესიული თვისებები	13	15
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	9	10
პროფესიული აქტივობა	5	5
ქულათა ჯამი	86	**100**

სახელი, გვარი: ნ. ქადაგიძე

თარიღი : 08.07.2021 წ.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი

ბადრი შონია

„08" ივლისი 2021 წელი ქ.თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატ ნინო ხარიტონაშვილის შეფასების დასაბუთება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის შესარჩევ კონკურსში მონაწილე კანდიდატ ნინო ხარიტონაშვილის შეფასების დასაბუთების შედგენის პროცესში ვიხელმძღვანელე „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 34^1-ე მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესით, კერძოდ, „კანდიდატების საჯარო მოსმენის დასრულების შემდეგ, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს უახლოეს სხდომამდე საბჭოს წევრები, ამ კანონის 36^3-ე მუხლის გათვალისწინებით, სამოსამართლო გამოცდილების არმქონე კანდიდატს აფასებენ ქულებით ამ კანონის 35^1-ე მუხლის მე-16 პუნქტის შესაბამისად, ხოლო სამოსამართლო გამოცდილების მქონე კანდიდატს – ქულებით ამ კანონის 36^4-ე მუხლის მე-8 პუნქტის შესაბამისად. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრები კანდიდატებს აფასებენ აგრეთვე ამ კანონის 35^1-ე მუხლის მე-15 პუნქტის შესაბამისად. ამასთანავე, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ყოველი წევრი კანდიდატის შეფასებისას წერილობით ასაბუთებს ამ კანონის 35^1-ე მუხლის მე-16 პუნქტით/36^4-ე მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებულ თითოეულ ქულას და ამ კანონის 36^3 მუხლით გათვალისწინებულ კეთილსინდისიერების კრიტერიუმის თითოეულ მახასიათებელს".

უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისთვის წარსადგენ კანდიდატ ნინო ხარიტონაშვილის შეფასებისას ვიხელმძღვანელე „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონით დადგენილი წესით მასზე მოძიებული ინფორმაციით, მის მიერ წარმოდგენილ განცხადებით და თანდართული დოკუმენტებით, აგრეთვე დავეყრდენი კანდიდატთან გამართულ უშუალო გასაუბრებით მიღებულ შთაბეჭდილებასა და ანალიზს. აღსანიშნავია, რომ კანდიდატი სამოსამართლო გამოცდილების არმქონეა, რომელიც „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 36^3-ე მუხლის შესაბამისად ფასდება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით, ხოლო კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 35^1-ე მუხლის შესაბამისად.

კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მახასიათებლებია:

- პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი;

- დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა;
- პიროვნული და პროფესიული ქცევა;
- პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია;
- ფინანსური ვალდებულება;

1. პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი:

კანდიდატზე მოძიებული მასალების გაცნობის შედეგად შემიძლია დავასკვნა, რომ კანდიდატი ჯეროვნად და კეთილსინდისიერად ასრულებს ფინანსურ თუ სხვა სახის სამოქალაქო ვალდებულებებს, კერძოდ, ნინო ხარიტონაშვილს სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ დავალიანება არ ერიცხება, აქვს მიმდინარე სესხი და დადებითი საკრედიტო ისტორია. კანდიდატს სრულად და დროულად აქვს გადახდილი საგზაო მოძრაობის წესების დარღვევის დადგენილი ჯარიმები. მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრში მის სახელზე რეგისტრირებულია შპს „მიდვეი კაფეს“ 25%-იანი წილი. კანდიდატის დახასიათების მიზნით წარმოდგენილ რეკომენდაციებში და კითხვარებში, კანდიდატთან საქმიან ურთიერთობაში მყოფი პირები მას კეთილსინდისიერ, პატიოსან, გულწრფელ, გაწონასწორებულ, ერთგულ, შრომისმოყვარე, კომუნიკაბელურ პიროვნებად ახასიათებენ.

კანდიდატი არის პატიოსანი და კეთილსინდისიერი, აქვს პასუხისმგებლობის და მოვალეობის მაღალი შეგრძნება, რაც მაძლევს საფუძველს, რომ კანდიდატი ნინო ხარიტონაშვილი ამ კომპონენტში შევაფასო დადებითად.

2. დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა:

გასაუბრების პროცესიდან ჩანს, რომ კანდიდატი დამოუკიდებელია საზოგადოებრივი და პოლიტიკური გავლენებისგან, აგრეთვე თავისუფალია ყოველგვარი მიკერძოებისგან და დისკრიმინაციისგან. სამსახურებრივ მოვალეობებს ასრულებს ჯეროვნად. კანდიდატი არ ყოფილა რომელიმე პოლიტიკური პარტიის წევრი/მხარდამჭერი ანდა შემომწირველი.
კანდიდატის დახასიათების მიზნით წარმოდგენილ რეკომენდაციებში და კითხვარებში, კანდიდატთან საქმიან ურთიერთობაში მყოფი პირები აღნიშნავენ ნინო ხარიტონაშვილის დამოუკიდებლობას, პრინციპულობას, სამართლიანობას.

აღნიშნული მაძლევს საფუძველს, რომ კანდიდატი ნინო ხარიტონაშვილი კეთილსინდისიერების ამ კომპონენტში შევაფასო დადებითად.

3. პიროვნული და პროფესიული ქცევა:

გასაუბრების პროცესში კანდიდატი თავდაჭერილი, ზრდილობიანი და კორექტული იყო. რეკომენდატორები უთითებენ, რომ კანდიდატი არის თავდაჭერილი, მტკიცე, გულისხმიერი, კორექტული, პასუხისმგებლიანი. კანდიდატის თაობაზე მოძიებული მასალებით დგინდება, რომ ნინო ხარიტონაშვილის მიმართ დისციპლინური ან სისხლის სამართლებრივი დევნა არ დაწყებულა. კანდიდატი წარმოადგენდა მხარეს შემდეგ სამოქალაქო სამართლის საქმეებში: სამოქალაქო საქმეში მოსარჩელედ - დავის საგანი: მუდმივი შრომითი ურთიერთობის აღიარება, შრომითი ხელშეკრულების სიყალბის აღიარება, სამსახურიდან გათავისუფლების ბრძანების

ბათილად ცნობა, განაცდურის ანაზღაურება (თბილისის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 20 ივნისის განჩინებით უარი ეთქვა სარჩელის წარმოებაში მიღებაზე); სამოქალაქო საქმეში მოსარჩელედ - დავის საგანი: ბრძანების ბათილად ცნობა, ინფორმაციის გამოთხოვა (თბილისის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 3 ივლისის განჩინებით უარი ეთქვა სარჩელის წარმოებაში მიღებაზე); სამოქალაქო საქმეში მოსარჩელედ - დავის საგანი: სამსახურში აღდგენა, სახელფასო დავალიანებისა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურება (თბილისის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 5 ივლისის განჩინებით უარი ეთქვა სარჩელის წარმოებაში მიღებაზე); სამოქალაქო საქმეში მოსარჩელედ - დავის საგანი: ბრძანების ბათილად ცნობა, ტოლფას სამუშაოზე აღდგენა, იძულებითი განაცდურის ანაზღაურება (თბილისის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 23 ოქტომბრის განჩინებით უარი ეთქვა სარჩელის წარმოებაში მიღებაზე); სამოქალაქო საქმეში მოპასუხედ - დავის საგანი: ბრძანების ბათილად ცნობა, სამუშაოზე აღდგენა, იძულებითი განაცდურის ანაზღაურება (თბილისის საქალაქო სასამართლოს 2020 წლის 15 იანვრის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ).
კანდიდატი სასამართლოში დაზარალებულად წარმოდგენილი არ ყოფილა. საანგარიშო პერიოდში, საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისთვის რამდენჯერმე უფიქსირდება ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტი, რომლებზეც დადგენილი ადმინისტრაციული ჯარიმები სრულად და დროულად აქვს დაფარული.

ზემოაღნიშნული მაძლევს საფუძველს, რომ კანდიდატი ნინო ხარიტონაშვილი კეთილსინდისიერების ამ კომპონენტში შევაფასო დადებითად.

4. პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია:

კანდიდატი სარგებლობას დადებითი პიროვნული და პროფესიული რეპუტაციით როგორც კოლეგებში ისე იურიდიულ წრეებში. რეკომენდატორებიც აღნიშნავენ, რომ ის სამსახურეობრივ საქმიანობაში, სტუდენტებში, პროფესორ მასწავლებლებში, სამეცნიერო წრეებში სარგებლობს მაღალი პროფესიული რეპუტაციით. რეკომენდატორები და გამოკითხული პირები კანდიდატის ნაკლოვანებებისა და სუსტი მხარეების შესახებ არ მიუთითებენ.
ინტერნეტ სივრცეში ხელმისაწვდომია ინფორმაცია კანდიდატის დამოუკიდებელი ინსპექტორის, საქართველოს უზენაესი სასამართლოს და სტრასბურგის სასამართლოს მოსამართლის შესარჩევ კონკურსში მონაწილეობის შესახებ. ხელმისაწვდომია ხარიტონაშვილის კომენტარი საარჩევნო საკითხთან დაკავშირებით.
აღსანიშნავია, რომ ზემოთ აღნიშნული არცერთი ფაქტი არ იძლევა მის პიროვნებაში და მის დადებით პროფესიულ რეპუტაციაში ეჭვის შეტანის საფუძველს.

ზემოაღნიშნული მაძლევს საფუძველს, რომ კანდიდატი ნინო ხარიტონაშვილი კეთილსინდისიერების ამ კომპონენტში შევაფასო დადებითად.

5. ფინანსური ვალდებულება:

კანდიდატზე მოძიებული ინფორმაციის გაცნობიდან ირკვევა, რომ თანამდებობის პირთა ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციაში ასახულია მონაცემები კანდიდატის საკუთრებაში

არსებული მოძრავი ქონების შესახებ, ასევე საბანკო დაწესებულებაში არსებული ანგარიშისა და შენატანების თაობაზე. კანდიდატის სახელზე უძრავი ქონება რეგისტრირებული არ არის. კანდიდატს აქვს მიმდინარე სესხი და დადებითი საკრედიტო ისტორია. კანდიდატს სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ დავალიანება არ ერიცხება.
ამდენად მიმაჩნია, რომ კანდიდატის მოსამართლედ განწესების შემთხვევაში, მისი ქონებრივი ინტერესების მართლმსაჯულების ინტერესებთან დაპირისპირების რაიმე საფუძველი არ იარსებებს.

წარმოდგენილი ინფორმაციის ანალიზის შედეგად მივიჩნევ, რომ კანდიდატი ნინო ხარიტონაშვილი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მახასიათებლების ანალიზის შედეგად მიმაჩნია, რომ კანდიდატი ნინო ხარიტონაშვილი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.

კომპეტენტურობის კრიტერიუმის მახასიათებლებია:

- სამართლის ნორმების ცოდნა;
- სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია;
- წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი;
- პროფესიული თვისებები;
- აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა;
- პროფესიული აქტივობა.

1. სამართლის ნორმების ცოდნა:

საჯარო მოსმენისას კანდიდატმა გამოავლინა კერძო და საჯარო სამართლის დამაკმაყოფილებელი ცოდნის დონე. გარკვეულ სამართლებრივ საკითხებზე კანდიდატის პასუხი არ იყო სრულყოფილი და ამომწურავი. კანდიდატმა მეტ-ნაკლებად იმსჯელა საარბიტრაჟო დავაში მესამე პირის ჩართვასა და მის მნიშვნელობაზე. ასევე ნაწილობრივ ისაუბრა მესამე პირის გარდაცვალების შემთხვევაში საქმის სამართლებრივ შედეგებზე. მან ცხადად ვერ განმარტა ადმინისტრაციულ პროცესში მესამე პირის მიერ შესაგებლის წარმოდგენისა და მისთვის ბაჟის დაკისრების საკითხი. კანდიდატისთვის ასევე უცნობია, ადმინისტრაციოული პროცესში, საქმის განხილვის საკასაციო ეტაპზე რამდენად შესაძლებელია მესამე პირის ჩაბმა. მან დამაჯერებლად ვერ განმარტა არის თუ არა გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი საქმეში მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს წარმომადგენელის ჩაბმაზე უარი. კანდიდატის მოსაზრებით ადმინისტრაციულ პროცესში მესამე პირის მიმართ შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს უზრუნველყოფის ღონისძიება. ნინო ხარიტონაშვილმა ვერ განმარტა სამოქალაქო კოდექსის თანახმად გარიგების კონვერსიის მნიშვნელობა. ასევე ბუნდოვნად განმარტა სასამართლოს გადაწყვეტილებისგან დამოუკიდებლად საპროცესო ხარჯების გასაჩივრების საკითხი. კანდიდატმა ვერ განმარტა სანოტარო მოქმედების საიდუმლოების საკითხი. მან ასევე

მეტ-ნაკლები სიზუსტით ისაუბრა საქართველოს კონსტიტუციიდან, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციიდან გამომდინარე საკითხებზე. კანდიდატმა ვერ იმსჯელა საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ სადავო ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობის შემთხვევაში ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის სამართლებრივ შედეგებზე. ნ. ხარიტონაშვილმა ბავშვის რწმენისა და აღმსარებლობის უფლებასთან დაკავშირებით განმარტა, რომ მშობელს აქვს უფლება ბავშვი აღზარდოს საკუთარი აღმსარებლობის მიხედვით, ხოლო ბავშვს შეუძლია შემდგომში სურვილისამებრ შეიცვალოს აღმსარებლობა. მან დამაკმაყოფილებლად განმარტა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლი. მან კარგად ისაუბრა კონსტიტუციით გარანტირებულ ადამიანის აბსოლიტურ უფლებებზე. ასევე დამაჯერებელი იყო მისი პასუხი საკუთრების უფლების შეზღუდვასთან დაკავშირებით. კანდიდატმა ნაწილობრივ გამიჯნა უფლებისა და თავისუფლების ცნებები. ასევე მეტ-ნაკლები სიცხადით ისაუბრა დისკრიმინაციის თემაზე.
კანდიდატმა წარმოადგინა სამართლებრივი პუბლიკაცია თემაზე: „მესამე პირების ჩართვის მნიშვნელობა სამოქალაქო პროცესში". ნაშრომის გაცნობის შედეგად დგინდება, რომ სამართლებრივი საკითხები სწორად იყო განმარტებული, პრობლემები და მათი გადაჭრის გზებიც დასაბუთებულად იყო წარმოჩენილი.
გასაუბრებიდან ჩანს, რომ კანდიდატი მეტ-ნაკლებად ეცნობა საკანონმდებლო ცვლილებებს, ეროვნულ და საერთაშორისო პრაქტიკას.

აღნიშნული გარემოებები მაძლევს საფუძველს, რომ ამ მახასიათებლებში კანდიდატი - ნინო ხარიტონაშვილი შევაფასო - 19 ქულით.

2. სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია.

კანდიდატის მიერ წარმოდგენილ სამართლებრივ პუბლიკაციაში მსჯელობა დასაბუთებული, ლოგიკური და თანმიმდევრულია.
აგრეთვე აღსანიშნავია, რომ საჯარო მოსმენის დროს კანდიდატის მსჯელობა მეტ-ნაკლებად იყო დამაჯერებელი. გარკვეული შეკითხვებზე მსჯელობისას საკითხები სიღრმისეულად ვერ გაანალიზა, თუმცა იგი აზრს ავითარებდა გამართულად, თანმიმდევრულად.
კანდიდატს აქვს სპეციალობით მუშაობის საკმაოდ დიდი - 17 წლიანი გამოცდილება. 2013 წლიდან - დღემდე არის სსიპ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის იურიდიული სამსახურის მთავარი სპეციალისტი.

აღნიშნული გარემოებები მაძლევს საფუძველს, რომ ამ კომპონენტში კანდიდატი - ნინო ხარიტონაშვილი შევაფასო - 20 ქულით.

3. წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი

ნინო ხარიტონაშვილი გასაუბრებისას აზრს ნათლად და გასაგებად გადმოსცემს. სამართლებრივი პუბლიკაციის გაცნობისას ჩანს, რომ კანდიდატი კარგად ფლობს და ადეკვატურად იყენებს სამართლებრივ ლექსიკას. ნაშრომი არ არის გადატვირთული არამიზნობრივი მსჯელობით და მკითხველისთვის იოლად აღსაქმელია. შესწავლილ მასალაში მნიშვნელოვანი სამართლებრივი ან რედაქციული ხასიათის შეცდომები არ გამოვლენილა.

რეკომენდატორებიც უთითებენ რომ კანდიდატს აქვს ზეპირი კომუნიკაციის კარგი უნარი, რაზეც მეტყველებს არაერთ სამართლებრივ შეხვედრაზე თუ პრეზენტაციაზე მისი მონაწილეობა. რეკომენდატორებს ასევე დადებითად აქვთ შეფასებული მისი წერის უნარიც.

აღნიშნული გარემოებები მაძლევს საფუძველს, რომ ამ კომპონენტში კანდიდატი - ნინო ხარიტონაშვილი შევაფასო - 20 ქულით.

4. პროფესიული თვისებები

რეკომენდატორები უთითებენ, რომ ნინო ხარიტონაშვილი არის შრომისმოყვარე, პასუხისმგებლიანი, მიზანდასახული. მუდმივად ფიქრობს თვითგანვითარებაზე. შეუძლია საკუთარი პოზიციების დაცვა და სხვისი დარწმუნება მათ სისწორეში. აღნიშნულის გათვალისწინებითა და საჯარო მოსმენისას კანდიდატზე დაკვირვებით შემიძლია დავასკვნა, რომ კანდიდატი არის მიზანდასახული, შრომისმოყვარე და კომპეტენტური. აქვს დამოუკიდებელი აზროვნების და ანალიზის უნარი.

აღნიშნული გარემოებები მაძლევს საფუძველს, რომ ამ კომპონენტში კანდიდატი - ნინო ხარიტონაშვილი შევაფასო - 13 ქულით.

5. აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა.

ნინო ხარიტონაშვილი 2015 წლიდან არის ნოტარიუსთა საერთაშორისო კავშირის ინდივიდუალური წევრი.
გავლილი აქვს სასწავლო კურსი: ნოტარიუსთა საერთაშორისო კავშირი, ნოტარიატის მსოფლიო უნივერსიტეტი - რომი, იტალია;
კანდიდატს რამდენჯერმე გამოეცხადა მადლობა გაწეული საქმიანობისთვის: 2004 წელს საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის (ლადო ჭანტურია) მადლობა მოსამართლეთა კონფერენციის ორგანიზებაში მონაწილეობისათვის;
2012 წელს სს თიბისი ბანკის გენერალური დირექტორის (ვახტანგ ბუცხრიკიძის) მადლობა აუდიტორული შემოწმების შედეგად მიღებული უმაღლესი შეფასებისათვის; სსიპ „საქართველოს ნოტარიუსთა პალატის" თავმჯდომარის მადლობა პირად საქმეში შეტანით (N19/კ), 2016 წლის 24 თებერვალი;
გასაუბრებიდანაც ჩანს, რომ კანდიდატს აქვს თვითგანვითარების და ახალი ცოდნისა და შესაძლებლობების პრაქტიკულ საქმიანობაში გამოყენების უნარი.

აღნიშნული გარემოებები მაძლევს საფუძველს, რომ ამ კომპონენტში კანდიდატი - ნინო ხარიტონაშვილი შევაფასო - 9 ქულით.

6. პროფესიული აქტივობა

კანდიდატს სამართლებრივი სისტემისა და მართლმსაჯულების საკითხებზე გამართულ არაერთ ღონისძიებაში აქვს მონაწილეობა მიღებული, აღნიშნული სემინარები შეეხებოდა შემდეგ თემებს: საბაზისო კურსი მედიაციაში - საქართველოს მედიატორთა ასოციაციის და ედვარდსის

მედიაციის აკადემიის ერთობლივი პროგრამა; ინტელექტუალური საკუთრების ზოგადი კურსი - WIPO აკადემია, საქპატენტი; ადმინისტრაციული სამართლის ფორუმი - გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი, საქართველოს ადვოკატები დამოუკიდებელი პროფესიისათვის; საერთაშორისო კონფერენცია „საოჯახო საკუთრების რეჟიმები 2016/1103/1104 რეგულაციებთან მიმართებაში"; საჯარო პოლიტიკის ანალიზი, პროექტი: „საჯარო მმართველობის რეფორმის ხელშეწყობა საქართველოში" - მთავრობის ადმინისტრაცია, UNDP; სიახლეები საჯარო სამსახურის გავლის წესში და სისტემაში გასატარებელი ცვლილებები - საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრი; დროის მართვა და გუნდური მუშაობა - სსიპ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის სასწავლო ცენტრი - ტრენინგი და სხვა.

კანდიდატი ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას და უძღვება შემდეგ სალექციო კურსებს: თბილისის ღია უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, ავტორი სალექციო კურსის ,,შედარებითი სამოქალაქო პროცესი"; საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის ასისტენტ პროფესორი; გურამ თავართქილაძის უნივერსიტეტის მოწვეული ლექტორი. კითხულობს ლექციებს სამოქალაქო პროცესში, საოჯახო და მემკვიდრეობის სამართალში, სანოტარო სამართალში; მოწვეული ლექტორი სსიპ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის სასწავლო ცენტრში - ,,სამოქალაქო პროცესი". შემუშავებული აქვს მოდული საქართველოში შრომის სამართლის განვითარებაზე.

ნინო ხარიტონაშვილის გამოქვეყნებული აქვს შემდეგი სტატიები და მონოგრაფიები:

2020 წელი, მონოგრაფია - ,,მესამე პირების საპროცესო სამართალში (სასამართლო პრაქტიკის ანალიზი)", გამომცემლობა ,,ბონა-კაუზა";

მედიაცია ქართულ ნოტარიატში, დავის ალტერნატიული გადაწყვეტა, 2018-2019 წელი, სპეციალური გამოცემა, თსუ, დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ეროვნული ცენტრი;

2019 წელი, დასაქმებისათვის საჭირო შრომითი უნარები, მოდული შრომის სამართლის განვითარება, საერთაშორისო ორგანიზაცია ,,გადავარჩინოთ ბავშვები";

2017 წელი, მესამე პირები როგორც სამოქალაქო სამართალწარმოების სუბიექტები სამართლის ჟურნალი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2017 ISSN 2233-3746 , N1, 2017.

2017 წელი, მესამე პირები საზოგადოებაში თანამედროვე თანამშრომლობისა და პარტნიორობის სამსახურში, მე-3 დისციპლინათა შორისი სამეცნიერო და პრაქტიკული კონფერენციის ,,თანამედროვე საზოგადოება და თანამშრომლობა" მასალები, ვარშავა, პოლონეთი, 01.07.2017 და სხვა. კანდიდატი არის სამართლის დოქტორი (თსუ).

აღნიშნული გარემოებები მაძლევს საფუძველს, რომ ამ კომპონენტში კანდიდატი - ნინო ხარიტონაშვილი შევაფასო - 5 ქულით.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით კანდიდატ ნინო ხარიტონაშვილის კომპეტენტურობის კრიტერიუმით შეფასებისას მისთვის მინიჭებულმა ქულათა ჯამმა შეადგინა 86 ქულა.

ხელმოწერა: